ცაში აზიდული მყინვარწვერი, საქართველოს სავიზიტო ბარათი გერგეთის სამება, მისტიკური გველეთის ჩანჩქერი, თოვლით დაფარული მწვერვალები - ყაზბეგის ეროვნულ პარკში მოგზაურობისას სწორედ ამ ჯადოსნურ ადგილებს აღმოაჩენთ. ის ერთ-ერთი ყველაზე მონახულებადი დაცული ტერიტორიაა საქართველოში.

ყაზბეგის ეროვნული პარკი გამორჩეული და უნიკალური ადგილია, რომლის ერთხელ ნახვა არასოდეს არის საკმარისი და ყოველთვის თავისკენ გიხმობს. აქ თქვენ ბუნების სიყვარულს, მწვერვალებისკენ სწრაფვისა და მთის დალაშქვრით გამოწვეულ ბედნიერებას შეიგრძნობთ. ულამაზესი მთები და ციცაბო ფერდობები ალპინიზმით გატაცებული ადამიანებისთვის დროის საინტერესოდ გატარების საშუალებაა. მყინვარწვერზე ფეხის დადგმა კი წარმოუდგენელ ემოციებს აღგიძრავთ.

აქ შესაძლებელია მოაწყოთ დაუვიწყარი ლაშქრობა ფეხით, ცხენით ან ველოსიპედით. მოინახულებთ საოცარ თრუსოს ხეობას, რომელიც მდინარე თერგს მიუყვება, შეგხვდებათ აბანოს მინერალური ტბა, კოშკები და ნასოფლარები. მოინახულებთ ულამაზესი ჩანჩქერებითა და ტბებით მდიდარ დარიალის ხეობას, გულის ფორმის ტბით, რომელსაც სიყვარულის ტბასაც ეძახიან. ალპინიზმით გატაცებულებს შესაძლებლობა გექნებათ, დაიპყროთ ხდის ხეობის მწვერვალები: შანი, შავანა და სხვა.

ყაზბეგის ეროვნული პარკი 1976 წელს შეიქმნა. მისი საერთო ფართობია 78 204 ჰა. პარკის მხოლოდ 20% არის ტყით დაფარული, დანარჩენი კი ალპურ მდელოებს, კლდეებს და თოვლიან მწვერვალებს უჭირავთ. ის მაღალმთიანია, მისი ყველაზე დაბალი წერტილი ზღ. დ-დან 1400 მ-ზე მდებარეობს.



დაბა სტეფანწმინდა; ალ. ყაზბეგის შესახვევი N2

+995 544 33 44 33

info@parks.ge

ყაზბეგის ეროვნული პარკი / Kazbegi National Park

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

www.nationalparks.ge

საქართველოს ეროვნული პარკები

ყაზბეგის ეროვნული პარკი



ეკოტურიზმი

ყაზბეგის ეროვნულ პარკში მოგზაურობისას, გარდა იმისა, რომ დატკბებით მისი გასაოცარი ბუნებით, ასევე გაეცნობით მის უძველეს კულტურასა და ტრადიციებს, მთიულთა ცხოვრებასა და წეს-ჩვეულებებს. ფერდობებზე შეფენილი ნასოფლარები და ციხე-კოშკები საქართველოს ისტორიას, ლეგენდებად ამბებსა და მითებს ინახავენ.

ყაზბეგის ეროვნულ პარკში მოგზაურობისას აუცილებლად უნდა მოინახულოთ გერგეთის სამება, რომელიც უზარმაზარ მთის მწვერვალს აგვირგვინებს და ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადგილია საქართველოში.

გერგეთის სამებიდან, ალპინიზმის მოყვარულებს, შესაძლებლობა გეხსნებათ გზა განაგრძოთ მყინვარწვერისკენ. სალაშქრო სეზონი ზაფხულის მეორე ნახევარში იხსნება და სექტემბრის ბოლომდე გრძელდება. აუცილებელია, სწორ დროს და საჭირო აღჭურვილობით ეწვიოთ მას.

ულამაზესი ჩანჩქერებითა და ტბებით მდიდარი დარიალის ხეობა, რომელთა შორის აღსანიშნავია გველეთის ჩანჩქერი და გულის ფორმის ტბა, რომელსაც მისი ფორმის გამო სიყვარულის ტბასაც უწოდებენ.

თრუსოს ხეობა, რომელიც იშვიათი, ეგზოტიკური სილამაზით გამოირჩევა. აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გხვდება ულამაზესი კოშკები, ხავსიანი ნასახლარები და საყდრები.

ხდის ხეობა, რომელსაც გამორჩეულად მიმზიდველს ხდის თარგმნის წყლის ჩანჩქერი ალპინიზმით გატაცებულებს, სწორედ აქ გაქვთ შესაძლებლობა დაიპყროთ ხდის ხეობის მწვერვალები: შავანა, შანი და მრავალი სხვა.

ყაზბეგის ეროვნულ პარკში შესაძლებლობა გაქვთ, ისიამოვნოთ შემდეგი აქტივობებით:

- საფეხმავლო ტურები
- საცხენოსნო ტურები
- ველო ტურები
- ეკოსაგანმანათლებლო ტურები
- ტურები ფოტომოყვარულთათვის



ბიომრავალფეროვნება

ბუნების სილამაზისა და კულტურის ჰარმონიული შერწყმა ერთ-ერთია, რაც ყაზბეგის ეროვნულ პარკს განსაკუთრებულობას ანიჭებს. გრანდიოზული მთების, ჩანჩქერების, ტბებისა და ხეობების გამო ყაზბეგის ეროვნული პარკი ძალიან საინტერესოა მოლაშქრეების, მთაში დასვენების მოყვარულებისა თუ ბუნების დამცველთათვის.

მწვანეში ჩაფლული ჩანჩქერები, იშვიათ მცენარეთა მრავალფეროვნება, სუბალპური მდელოები, ხეებს შორის გარინდული კლდეები და სხვა მრავალი დაუვიწყარი სილამაზის ადგილი ჯადოსნურ, მოულოდნელობებით სავსე სამყაროში აღმოგაჩენთ.

ეროვნული პარკის კლდეები და მთები მრავალი იშვიათი და უნიკალური სახეობის ძუძუმწოვრისა და ფრინველის თავშესაფარია, რომელთა უმრავლესობა წარმოადგენს იშვიათ და გადაშენების პირას მყოფ და საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებს, აღმოსავლეთ კავკასიურ ჯიხვს, არჩვს, მურა დათვს და ფოცხვერს.

ყაზბეგის ეროვნული პარკი დიდი ზომის მტაცებელი ფრინველებისთვის იდეალური საარსებო გარემოა. აქ ბინადრობენ: მთის არწივი, ორბი, ბატკანძერი. ყურადღებას იქცევს აგრეთვე კავკასიური როჭო და კავკასიური შურთხი.





ახლომდებარე ტურისტული ობიექტები

მყინვარწვერი | ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მწვერვალი საქართველოში, ზღვის დონიდან 5054 მეტრი.

სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი | განთავსებულია ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის სახლში.

გერგეთის სამების ტაძარი | ქართული ხუროთმოძღვრული კომპლექსი.

დევდორაკის მყინვარი | ამ ადგილისკენ მიმავალი ბილიკი იწყება სტეფანწმინდიდან და მიყვება დარიალის ხეობას.

დარიალის ხეობა და სამონასტრო კომპლექსი | ხეობა იწყება სტეფანწმინდიდან და მთავრდება ზემო ლარსთან.

ხევის სიონის ეკლესიის კომპლექსი | IX-X საუკუნის ძეგლია და ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფელი სიონის განაპირას ბორცვზე მდებარეობს.

ელია წინასწარმეტყველის სახელობის მამათა მონასტერი | მდებარეობს სტეფანწმინდაში, ელიას მთაზე, ზღვის დონიდან 2000 მ სიმაღლეზე.

აბანოს დედათა მონასტერი | მდებარეობს თრუსოს ხეობაში.

ზაქაგორი | ნასოფლარი თრუსოს ხეობაში.

არშის ჩანჩქერი | მდებარეობს სოფელ არშაში.